საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N477 2019 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ:

1. №3 დანართს („იმ უფლებამოსილი პირების ნუსხა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალურ დაშვებას უზრუნველყოფენ“) დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და მოადგილე.“.

2. №4 დანართს („იმ უფლებამოსილი პირების ნუსხა, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების კომპეტენცია“) დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) 4^1 პუნქტი:

„4^1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და მოადგილე.“;

ბ) 16^1 პუნქტი:

„16^1. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დეპარტამენტის დირექტორები, მათი მოადგილეები და სამმართველოს უფროსები.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**